საქართველოს მთავრობის

დადგენილება №385

2013 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/11/2013, 470230000.10.003.017446) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. №482 დადგენილების ფარგლებში დამდგარი შემთხვევები, რომლებიც დასრულდება 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ამოქმედების შემდეგ, უნდა დაფინანსდეს №482 დადგენილების ფარ-გლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ამასთან, №482 დადგენილების „სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიული შემოწმების“ კომპონენტის ფარგლებში დამდგარი შემთხვევების (2013 წლის 11-14 ნოემბერი) დაფინანსების მიზნით, რომლებიც ვერ იქნა ანაზღაურებული კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის ლიმიტის ამოწურვის გამო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სოციალური მომსახურების სააგენტომ უზრუნველყოს დამატებითი კონტრაქტის გაფორმება იმავე მიმწოდებელთან №482 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**